
სტუდენტური ფორუმი

ევროპული კავშირის საბჭო

ანა ლორია*

ევროპული კავშირის საბჭო შედგება თითოეული წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ერთი მინისტრისაგან, რომლებიც პოლიტიკურად ანგარიშვალდებულნი არიან თავისი ეროვნული პარლამენტების წინაშე. სულ არსებობს 22 სხვადასხვა საბჭო. ის, თუ რომელი მინისტრი დაესწრება თითოეული საბჭოს სხდომას, დამოკიდებულია სხდომაზე განსახილველ საკითხზე. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების დადგენა (ან გაუქმება) ხდება სოფლის მეურნეობის მინისტრების მიერ. საფინანსო და საბიუჯეტო საკითხებს განიხილავენ ფინანსთა მინისტრები და ა.შ.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელსაც ეწოდება „ზოგად საქმეთა საბჭო“ და რომელიც ჩვეულებრივ იკრიბება თვეში ერთხელ, იხილავს საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობასთან და ზოგად პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. სხვა 21 სპეციალური საბჭო იკრიბება წელიწადში 80-ჯერ და იხილავს შესაბამისი დარგის მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. საბჭოს ადგილსამყოფელია ბრიუსელში.

საბჭოს 6 თვის ვადით, მონაცვლეობით თავმჯდომარეობს თითოეული წევრი სახელმწიფო. თავმჯდომარეობა ძირითადად პასუხისმგებელია საბჭოსა და მასთან ასოცირებული დამხმარე კომიტეტების მუშაობის კოორდინაციაზე. იმ თანმიმდევრობის დადგენა, რომლითაც წევრი სახელმწიფოები იკავებენ თავმჯდომარის ადგილს, ხდება საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. თავმჯდომარეობა იცვლება ყოველი წლის 1 იანვარსა და 1 ივლისს. ვინაიდან ეს „მონაცვლეობა“ საკმაოდ ხშირია და საფრთხეს უქმნის ევროპულ კავშირში გადაწყვეტილებების მიღების განუწყვეტელობას, წინა, მოქმედი და მომავალი თავმჯდომარეებისაგან იქმნება ე.წ. „ტროიკა“ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

საბჭოს, თავისი სხვადასხვა დარგის მინისტრების მეშვეობით, ევალება ევროპულ პარლამენტთან ერთად განიხილოს კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტები, შეასწოროს, მიიღოს ან უარყოს ისინი. მას შემდეგ, რაც 1987 წელს ერთიანი ევროპული აქტით შემოღებულ იქნა თანამშრომლობის, ხოლო 1993 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებით – ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპული პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია. საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელების გარდა საბჭოს ევალება წევრი სახელმწიფოების ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის უზრუნველყოფა.

საბჭოს ამოცანაა წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური და გაერთიანების ზოგად ინტერესთა განონსწორება. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები უნდა იცავდნენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს, მაგრამ ამავე დროს, ვალდებულნი არიან იზრუნონ გაერთიანების ამოცანებსა და მოთხოვნებზე. მიუხედავად მისი სამთავრობოთაშორისო შემადგენლობისა, საბჭო გაერთიანების ინსტიტუტია და არა სამთავრობოთაშორისო კონფერენცია. წევრი სახელმწიფოების მინისტრებმა უნდა მონახონ ოპტიმალური ბალანსი გაერთიანებისა და თავიანთი სახელმწიფოების ინტერესებს შორის.

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და GEPLAC-ის სტაჟორი.

საბჭოს სხდომებს ამზადებს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის (COREPER), რომელიც შედგება ბრიუსელში წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლების, მათი მოადგილეებისა და გენერალური სამდივნოსაგან.

COREPER-ი ამზადებს საბჭოს სამუშაოს საფუძვლებს და ასრულებს მასზე საბჭოს მიერ დაკისრებულ ამოცანებს. იგი იყოფა COREPER I-ად და COREPER II-ად. COREPER I-ი შედგება მუდმივი წარმომადგენლების მოადგილეებისაგან და მის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად მოიცავს ისეთ ტექნიკურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროა სხვადასხვა საბჭოების შეხვედრებისათვის. COREPER II-ი შედგება თავად მუდმივი წარმომადგენლებისაგან და მას ევალება პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა. COREPER I-ის და COREPER II-ის გარდა, არსებობს სოფლის მეურნეობის სპეციალური კომიტეტი (CSA), რომელსაც სოფლის მეურნეობის დარგში აკისრია იგივე ამოცანები, რაც COREPER-ს.

COREPER-ის მიერ უკამათო საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, ეს საკითხი დღის წესრიგში შეიტანება „ა საკითხის“ სახით და საბჭოში მისი მიღება ხდება შემდგომი განხილვის გარეშე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საბჭოს ნებისმიერი წევრის შესაძლებლობას გამოხატოს თავისი მოსაზრება ამ საკითხების მიღების დროს და დააფიქსიროს თავისი პოზიცია სხდომის ოქმში. დანარჩენ საკითხებს, რომლებიც გადაუწყვეტელი რჩება და საჭიროებს შემდგომ განხილვას, ეწოდება „ბ საკითხები“. COREPER-ს ეხმარება საბჭოსთან არსებული მუდმივი სპეციალური და *ad hoc* სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც ევალება კონკრეტულ საკითხზე მუშაობა გარკვეული დროის განმავლობაში.

საბჭოს, COREPER-ს და CSA-ს მუშაობაში ეხმარება გენერალური სამდივნო, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს სხდომების ისეთ ტექნიკურ ასპექტებზე, როგორიცაა სათარგმნი საშუალებების უზრუნველყოფა და თარგმანის შესრულება, სამართლებრივი კონსულტაციები და საბჭოს ბიუჯეტის ადმინისტრირება. გენერალური სამდივნო მუშაობს ევროპული კავშირის თერთმეტივე ოფიციალურ ენაზე.

საბჭოს სხდომები მოინვევა თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს თუ კომისიის ნებისმიერი წევრის მოთხოვნის საფუძველზე. დღის წესრიგი განასხვავებს „ა საკითხებს“ და „ბ საკითხებს“ და მხოლოდ ამ უკანასკნელთა განხილვა ხდება საბჭოს წევრების მიერ. „ა საკითხი“ შეიძლება იქცეს „ბ საკითხად“, თუ საბჭოს ან კომისიის წევრი მოითხოვს მის განხილვას მიღებამდე. ასეთი „ა საკითხი“ ამოიღება დღის წესრიგიდან და „ბ საკითხის“ სახით შეიტანება მომდევნო სხდომის დღის წესრიგში. დოკუმენტები და პროექტები, რომელთა შესახებაც საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ევროპული კავშირის თერთმეტივე ოფიციალურ ენაზე. ამ წესის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

საბჭოს სხდომები ყოველთვის დახურული იყო, რამაც გამოიწვია ის ბრალდება, რომ ევროპულ გაერთიანებაში გადაწყვეტილების მიღება მეტად ფარული და არადემოკრატიულია. 90-იან წლებში გაიზარდა ინტერესი ე.წ. „დემოკრატიის დეფიციტის“ ანუ გაერთიანებაში გადაწყვეტილების მიღებაზე დემოკრატიული კონტროლის არქონის მიმართ. საბჭოზე განხორციელდა ზენოლა, რათა საჯარო გამხდარიყო ზოგიერთი სხდომა, ისეთი მაინც, რომლებზეც თავმჯდომარეობა წარადგენდა 6 თვიან, ხოლო კომისია – წლიურ სამუშაო პროგრამას. ამასობაში შეიქმნა მუდმივი ადგილი პრესისათვის საბჭოს შტაბბინაში. მიუხედავად ამისა, მინისტრები განაგრძობენ კამათს იმის თაობაზე, რომ მათი მსჯელობანი ძალიან დელიკატურია განსაჯაროებისთვის, ვინაიდან საბჭოს დებატები მოიცავს გარიგებებს სახელმწიფოებს შორის, რითაც მინისტრები ცდილობენ გაანონასნორონ ეროვნული ინტერესები გაერთიანების ფართო ინტერესებთან.

საბჭოში ხმის მიცემის სამი გზა არსებობს: უბრალო უმრავლესობა, კვალიფიცირებული უმრავლესობა და ერთსულოვნება. თუ ხმის მიცემა ეფუძნება ერთსულოვნების ან უბრალო უმრავლესობის პრინციპს, მაშინ თითოეული ქვეყანა სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, ხოლო, თუ გამოიყენება კვალიფიცირებული უმრავლესობა, მაშინ ხმების რაოდენობა განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო შედგება თხუთმეტი წევრი სახელმწიფოს ან მათი მთავრობის მეთაურებისაგან და ევროპული კომისიის თავმჯდომარისაგან. მათ თავიანთ საქმიანობაში დახმარებას უწევენ წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები და აგრეთვე კომისიის წევრი.

ევროპულ საბჭოს ევალება იმ კომპლექსური საკითხების გადაწყვეტა, რომელთა მოწესრიგება შეუძლებელია უფრო დაბალ დონეზე, ან რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გადაწყდეს მხოლოდ რომელიმე დარგის მინისტრების მიერ. ევროპული საბჭო იღებს ევროპული ინტეგრაციის პროგრესული განვითარების პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების გამოცემით, იგი სახავეს საბჭოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების მიზნებს.

საბჭო იკრიბება სულ მცირე წელიწადში ორჯერ და ყოველთვის იმ ქვეყანაში, რომელსაც უკავია თავმჯდომარის ადგილი. საგანგებო სხდომები მოინვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. ევროპული საბჭო ყოველი სხდომის შემდეგ მოხსენებას წარუდგენს ევროპულ პარლამენტს და ყოველწლიურად ადგენს ევროპული კავშირის ანგარიშს.